კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის (www.va.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 18 ნოემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი

www.va.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
0,00%
0,00%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
0,00%
0,00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
20,00%
19,00%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
3,85%
16,00%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
0,00%
0,00%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
0,00%
0,00%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
28,57%
50,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%

საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის ოფიციალური ვებ-გვერდი გაუმართავია, როგორც ინფორმაციული შიგთავსის, ასევე ტექნიკური პარამეტრების მხრივ, რის გამოც შეუძლებელია ვებ-გევრდის საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ტექნიკური პარამეტრების სრულყოფილად შეფასება.

სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძება შემდეგი სახის თითქმის არანაირი ინფორმაცია:

- ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ;
- საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა;
- მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ;
- ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები;
- სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა;
- საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას;
- საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები;
- საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა;
- საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი).

ამასთან, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო მოქმედი დებულების თანახმად ასრულებს მნიშვნელოვან საქმიანობას, კერძოდ, მისი საქმიანობის სფერო და ამოცანები სხვა მნიშვნელოვან საქმიანობასთან ერთად მოიცავს, აგრეთვე, შემდეგს:

- ომის ვეტერანთა კონტინგენტთან დაკავშირებული საერთაშორისო პროგრამების შედგენა-განხორციელება;

- “ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ”, “საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღე-ბული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრების სოციალური დაცვის შესახებ”, აგრეთვე საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი პირების ზუსტი აღრიცხვა, ერთიანი კომპიუტერულ მონაცემთა ბაზის შექმნა;

- მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის დამადასტურებელი ერთიანი პირადობის მოწმობების დამზადება-გაცემა;

- უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიება, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა (ყოფილ სამხედრო ტყვეთა) საფლავების მოძიება და აღრიცხვა.

სასურველია, ვებ-გვერდზე მოიძიებოდეს მინიმუმ ზემოხსენებული ინფორმაციის შესახებ ცნობები.